შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით ონკანებისა და მისი ნაწილების - CPV -42130000. 42131000, 42132000 შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი 25 იანვარი, 2022 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
ლაშა ჯაფარიძე - ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის წევრები:
ვაჟა პოპიაშვილი - შესყიდვების სამსახურის უფროსი
ზაზა ხეცურიანი - სამეურნეო მეურნეობის უფროსი
ლანა ოთიაშვილი - შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე
შორენა ოსკოპელი - ელექტრონული შესყიდვების განყოფილების უფროსი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
ნინო კონჯარია - შესყიდვების სამსახურის ელექტრონული შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი
ნინო გამგებელი - შესყიდვების სამსახურის ელექტრონული შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი

დღის წესრიგი:
შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ონკანებისა და მისი ნაწილების - CPV -42130000. 42131000, 42132000 შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:
სატენდერო კომისიის სხდომის ადგილი: ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2 - შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ადმინისტრაციული შენობა.
დრო: 12:00 საათი.
საფუძველი:
2021 წლის 29 ნოემბრის მოხსენებითი ბარათი - POST 21 00033988.
ავტორი: სამეურნეო სამსახურის უფროსი - ზაზა ხეცურიანი.
შინაარსი: ონკანების და მისი ნაწილების შესყიდვა.
დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები (2022 წლის სახსრები).

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ჯაფარიძემ სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ნინო გამგებელი.

სატენდერო კომისიის წევრმა ვაჟა პოპიაშვილმა სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარდა ბაზრის კვლევა. მოთხოვნა გაეგზავნა ორ პოტენციურ მიმწოდებელს. ორივე კომპანიამ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარმოადგინა შესაბამისი შეთავაზება და დაბალი ფასის მქონე კომპანიის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე განისაზღვრა სავარაუდო ღირებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიის წევრმა ლანა ოთიაშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი:

- ბაზრის კვლევის შედეგად შესყიდვის ობიექტის ღირებულებად განისაზღვრა - 11 955.00 ლარი (დღგ-ს გარეშე).
- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვრება 119.00 ლარით.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის “ მე-15 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით ონკანებისა და მისი ნაწილების შესყიდვის სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული ფორმით და რედაქციით.

2. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ონკანებისა და მისი ნაწილების შესყიდვის გამოცხადების მიზნით სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება არაუგვიანეს 2022 წლის 25 იანვრისა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
ლაშა ჯაფარიძე - ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის წევრები:
ვაჟა პოპიაშვილი - შესყიდვების სამსახურის უფროსი
ზაზა ხეცურიანი - სამეურნეო მეურნეობის უფროსი
ლანა ოთიაშვილი - შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე
შორენა ოსკოპელი - ელექტრონული შესყიდვების განყოფილების უფროსი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
ნინო კონჯარია - შესყიდვების სამსახურის ელექტრონული შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი
ნინო გამგებელი - შესყიდვების სამსახურის ელექტრონული შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი